სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
07.08.2015№ 152
თბილისი

აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი
კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო
კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე, 34-ე და 35-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტისა და 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 25 ივლისის №1646 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად (იხ. დანართი).
2. დამტკიცდეს სტუ-ს ფაკულტეტების აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:
    1. პროფესორი ნიკოლოზ ნაცვლიშვილი (სამშენებლო ფაკულტეტი);
    2. პროფესორი ნოდარ ქევხიშვილი (ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი);
    3. პროფესორი ზაურ არაბიძე (სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი);
    4. პროფესორი დენიტა ბიბილეიშვილი (ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი);
    5. პროფესორი ოლეგ ბიჭიაშვილი (სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი);
    6. პროფესორი გიული გეგელია (არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი);
    7. პროფესორი ნანა ხაზარაძე (ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი);
    8. პროფესორი ოლეგ ნამიჩეიშვილი (ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი);
    9. პროფესორი შუქრი ჯაფარიძე (აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი);
    10. პროფესორი ჯემალ გახოკიძე (სენატის სპიკერი);
    11. ასოცირებული პროფესორი როზა გაფრინდაშვილი (ფსიქოლოგი).
3. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და გამოიკრას უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილზე.
4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის უზრუნველყოს სტუ-ს კანცელარიამ.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:
ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი
სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი. ლომიძე
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი) აცხადებს ღია კონკურსს 2015-2016 სასწავლო წლიდან 4 წლის ვადით აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი) დასაკავებლად შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. სამშენებლო (კოსტავას ქ. №68, I კორპუსი, ოთახი №525, .ტ.: 236 43 28);
2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის (კოსტავას ქ. №77, VIII კორპუსი, ოთახი №408, ტ.: 236 51 72);
3. სამთო-გეოლოგიური (კოსტავას ქ. №77, III კორპუსი, ოთახი №306, ტელ.: 238-00-50);
4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის (კოსტავას ქ. №67, X კორპუსი, ოთახი №403, ტ.: 236 38 07);
5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის (კოსტავას ქ. №68, I კორპუსი, ოთახი №550, ტ.: 236 42 00);
6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის (კოსტავას ქ. №68, I-c კორპუსი, ოთახი №402, ტ.: 233 71 63);
7. ბიზნეს-ინჟინერინგის (კოსტავას ქ. №77, VI კორპუსი, ოთახი №903ა, ტ.: 236 52 73);
8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების (კოსტავას ქ. №77, VI კორპუსი, ოთახი №306ა, ტ.: 236 52 80);
9. აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის (კოსტავას ქ. №68, I კორპუსი, C ფლიგელი, ოთახი №602, ტ.: 233 52 68).

I. განცხადებების მიღების და კონკურსის ჩატარდების ვადები

კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის დამატებითი ინფორმაცია (მათ შორის საკონკურსო ადგილების რაოდენობა სწავლების ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის საგნების/მონათესავე საგანთა ჯგუფის მიხედვით და სხვ.) განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge.

განცხადებების მიღება იწარმოებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში, გამოცხადებიდან ერთი თვის შემდეგ, 2015 წლის 07 სექტემბრიდან 12 სექტემბრის ჩათვლით ყოველ დღე, 10^{00}-დან 15^{00} საათამდე.

65 წლისა და მეტი ასაკის მქონე პირის მიერ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის საკითხის განხილვისთვის განცხდებები მიიღება აკადემიური საბჭოს სამდივნოში 2015 წლის 07 და 08 სექტემბერს (10^{00}-დან 17^{00} საათამდე).

კონკურსი ჩატარდება 2015 წლის 14 სექტემბრიდან 19 სექტემბრის ´ჩათვლით. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2015 წლის 19 სექტემბერს, შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge.

კონკურსში გამარჯვებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდება 2015 წლის 21 სექტემბრიდან.

II. საკონკურსო პირობები

1. კონკურსის ძირითადი პირობები:
   ა) პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 6 წლის გამოცდილება;
   ბ) ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არა ნაკლებ 3 წლის გამოცდილება;
   გ) ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი;
2. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა პირადად უნდა წარმოადგინოს:
   ა) სათანადო ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი განცხადება და ანკეტა (ფორმები იხ. სტუ-ს ვებგვერდზე), აგრეთვე მათში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია: დიპლომი, სერტიფიკატი, მოწმობა, სიგელი, ცნობა და ა.შ. (დედანი და ასლი);
   ბ) სამეცნიერო/აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);
   გ) სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი საბუთი (საბუთები), დამოწმებული შესაბამისი ორგანიზაციის/დაწესებულების ბეჭდით;
   დ) სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომების ნუსხა, დამოწმებული შესაბამისი დაწესებულების/ ორგანიზაციის კომპეტენტური პირის ხელმოწერითა და ბეჭდით (დამოწმება ასევე შესაძლებელია უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და აკადემიური დეპარტამენტის/ ფაკულტეტის ბეჭდით);
   ე) იმ საკონკურსო საგნების ჩამონათვალი, რომლებშიც კონკურსანტს შეუძლია სალექციო და/ან სხვა სახის მეცადინეობების კურსის გაძღოლა.
   ვ) პირადობის მოწმობა (დედანი და ქსეროასლი);
   ზ) 2 ფოტოსურათი, 3X4.

III. კონკურსში მონაწილეთა შეზღუდვა

1. კონკურსში არ დაიშვება პირი, რომელსაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური თანამდებობის დაკავება შეზღუდული აქვს მოქმედი კანონმდებლობით.
2. აკადემიური საბჭო ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით (2/3-ით), ფარული კენჭისყრით, ინდივიდუალურად წყვეტს 65 წლისა და მეტი ასაკის მქონე პირის მიერ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის საკითხს.
3. პირი, რომელიც მუშაობს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (სრული საშტატო ერთეული), მოცემულ კონკურსში სრულ საშტატო ერთეულზე გამარჯვების შემთხვევაში ვალდებული იქნება არსებული სამსახურიდან გათავისუფლდეს ან გადავიდეს ნახევარ საშტატო ერთეულზე 2015 წლის 21 სექტემბრიდან.

IV. კონკურსის ჩატარების წესი

1. კონკურსი ჩატარდება "უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის", უნივერსიტეტის წესდებისა და "აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, რომლებსაც კონკურსანტი გაეცნობა საკონკურსო კომისიებში და უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
2. საკონკურსო კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნება: კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა საკონკურსო თანამდებობასთან, მათ შორის საკონკურსო თანამდებობის პროფილის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი, საინჟინრო, სასწავლო-მეთოდური და პედაგოგიური საქმიანობა; სხვა აქტივობები, მიღწევები, კვალიფიკაციები, გამოცდილება და დამსახურება; ასევე (კომისიის გადაწყვეტილებით) კონკურსანტის მიერ ჩატარებული ლექციის ან/და საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტთან (კონკურსანტებთან) ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.
3. კონკურსის შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში, თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო